

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის

ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის

ბრძანება №2/241

2014 წლის 28 ნოემბერი

ქ. თბილისი

კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტებისათვის
კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების
თაობაზე

საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლების, კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული 2014 წლის 8 აპრილის №1 ადმინისტრაციული ხელშეკრულების 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**





1. მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი ამ ბრძანების დანართში მითითებულ ობიექტებს.
2. დაევალოს სააგენტოს იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინტერნეტგვერდზე ასახვის მიზნით შესაბამისი ღონისძიების განხორციელება.
3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა №4).

გენერალური დირექტორი

ნიკოლოზ ანთიძე

დანართი

| № | ფოტო | სახელწოდება | ადგილმდებარეობა | სახეობა | თარიღი |
|----|---|-------------------------|---|-----------------------|--|
| 1. |  | თრიალეთის პეტროგლიფები | წალკის მუნიციპალიტეტი სოფელი განთიადი | არქიტექტურის | პრეისტორიული ხანა - აშელური, მუსტიერი, საკუთრივ პეტროგლიფების - მეზოლითური, ადრე და შუაბრინჯაოს ხანა |
| 2. |  | ორბელიანთა სასახლე | თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი სოფელი ვაშლოვანი | არქიტექტურის | 1901 წელი |
| 3. |  | მემორიალური ორთქლმავალი | ზესტაფონის მუნიციპალიტეტი დაბა შორაპანი | საინჟინრო მემორიალური | 1871 წელი |
| 4. |  | კოტე აფხაზის სასახლე | სოფ.კარდენახი, გურჯაანის მუნიციპალიტეტი | არქიტექტურული | მე-19 საუკუნე |